

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 4

რეაბილიტაცია

ექსტრადიცია

1. რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება
2. ექსტრადიცია

1. რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#30¹-08

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგამე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის, ვ. ბ-შვილის, მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ც-შვილისა და ნ. ჩ-ელის კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენით ნ. ჩ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) -5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ზ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) -4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნ. ჩ-ელს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 24 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენით გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენი და ნ. ჩ-ელი გამართლდა წარდგენილ ბრალდებებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით ნ. ჩ-ელის სასარჩელო განცხადება სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი, მორალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: მას უნდა აუნაზღაურდეს ქონებრივი ზიანი 2550 ლარის ოდენობით.

ნ. ჩ-ელის რეაბილიტაციის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მასვე დაევალოს ნ. ჩ-ელისადმი მიყენებული ქონებრივი ზიანის -2550 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უნდა დაევალოს მის ოფიციალურ გამოცემაში ნ. ჩ-ელის რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება.

ნ. ჩ-ელის რეაბილიტაციის შესახებ უნდა ეცნობოს მისი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ბ-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ 2 550 ლარის გადახდა და ასევე უარი ეთქვას ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი ვ. ც-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად დაადგინა ნ. ჩ-ელის სასარგებლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების -2000 ლარის ანაზღაურება.

ნ. ჩ-ელი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებაში თავის სასარგებლოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ: ფიზიკური ზიანისათვის -47 450 ლარის, ხოლო მორალური ზიანისათვის -

150 000 ლარის, საბოლოოდ კი -197 450 ლარის გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ მოტივით, რომ ცალმხრივად და ტენდენციურად წარმართა წინასწარი და სასამართლო გამოძიება; მას შეეღობა პატივი, ღირსება, სამსახურებრივი რეპუტაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა, ასევე, მხარეთა მოტივები და მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებულს უფლება აქვს, მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოდ მოიაზრება პირველი ინსტანციის, რაიონული (საქალაქო) სასამართლო და არა გამამართლებელი განაჩენის ან სხვა რაიმე მარეაბილიტირებელი საფუძვლით გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, რომელიც შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოც. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ, სსკ-ის 227-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ განჩინება (დადგენილება) შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომელსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 517-ე მუხლის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ უფლებით, მოითხოვონ საქმის განხილვა არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში. აქვე საგულისხმოა, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც გამამართლებელი განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ, ზემოაღნიშნული საქმის განხილვა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, ვინაიდან ამით დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესი. მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არაუფლებამოსილი იყო, განეხილა სადავო საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი და განჩინება გამოიტანა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს და რეაბილიტირებულ ნ. ჩ-ელის განცხადება სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი, მორალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეცეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის, კ. ბ-შვილის, მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ც-შვილისა და ნ. ჩ-ელის კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინება და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეცეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#2¹-09

3 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის - ი. ღ-ძის, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ნ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, გ. ყ-შვილს ბრალი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა საბაჟო წესის დარღვევა, ე.ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით, არაერთგზის, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანაში თანამონაწილეობა.

მანვე ჩაიდინა საბაჟო წესის დარღვევა, ე.ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანის მცდელობაში თანამონაწილეობა;

მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არაერთგზის და დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლებასა და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებაში თანამონაწილეობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არაერთგზის და დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლებასა და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღების მცდელობაში თანამონაწილეობა;

გ. ყ-შვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილით, მე-19, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

2001 წლის 12 იანვარს გ. ყ-შვილს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 23-ე, 24-ე, 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 13 იანვრის ბრძანებით გ. ყ-შვილი გადაყენებულ იქნა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან სასამართლო განხილვამდე. 2001 წლის 3 ივლისს შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა - შეეცვალა გაუსვლელობის ხელწერილითა და სათანადო ქცევის შესახებ აღკვეთის ღონისძიებით.

2005 წლის 20 იანვარს თბილისის საოლქო სასამართლომ გ. ყ-შვილი გაამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილით, მე-19, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო და განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე-228-ე მუხლებით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და მიყენებუ-

ლი ზიანის ანაზღაურების უფლება, ასევე გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 8 დეკემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 20 იანვრის განაჩენი.

2006 წლის 8 ივნისს გ. ყ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა რეაბილიტაცია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ: მოხდეს მისი სრული რეაბილიტაცია და ამის შესახებ გამოქვეყნდეს პუბლიკაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში და მიეცეს უდანაშაულობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სრულად აუნაზღაურდეს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი - 31402.5 ლარის მიუღებელი ხელფასი და ანაცდენი სარგებლის სახით; სრულად აუნაზღაურდეს საადვოკატო ხარჯები - 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი; გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით; მორალური ზიანის კომპენსაციის სახით აუნაზღაურდეს 170 000 ლარი და წერილობით მოეხადოს ბოდიში; მიეცეს ტოლფასი საჯარო თანამდებობა საქართველოს სამთავრობო დაწესებულებაში; დაევალოს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის, როგორც ბეჭდვით, ასევე სამაუწყებლო საშუალებებს გამოაქვეყნონ და გააშუქონ ინფორმაცია მისი სრული რეაბილიტაციისა და მის მიმართ საპროცესო მოქმედებათა დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ; რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შრომით კოლექტივებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით:

რეაბილიტირებულ გ. ყ-შვილის მოთხოვნა სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მას მორალური ზიანი უნდა აუნაზღაურდეს 5 000 ლარის ოდენობით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა გ. ყ-შვილისათვის მიყენებული მორალური ზიანის - 5 000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში გ. ყ-შვილის რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება.

გ. ყ-შვილის რეაბილიტაციის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

გაზეთების - „საქართველოს რესპუბლიკის“, „ალიას“, „რეზონანსისა“ და „ახალი თაობის“ რედაქციებს დაევალათ გ. ყ-შვილის რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამის სამმართველოს დაევალა რეაბილიტირებულ გ. ყ-შვილისათვის წერილობით ბოდიშის მოხდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსის კ. ყ-ანის კერძო სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დადგენილება დარჩა უცვლელად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის - 5000 ლარის გადახდა, სსსკ-ის 225-ე მუხლის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ არ უნდა მოხდეს მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი კომპენსაციით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხა უნდა შეამციროს და განსაზღვროს გონივრულ ფარგლებში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორი ნ. გ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს მორალური ზიანის ფულად კომპენსაციას, თუმცა აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის ადგენს სავალდებულო წინა პირობებს: მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრებიდან, ანუ უნდა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის და-

ვერზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას, შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ ამგვარი დავების, მათ შორის, აღნიშნული საქმის, განხილვა ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის კერძო საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავება ან დაპატიმრება. ამასთან, სასამართლომ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს დაკავების ან დაპატიმრების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლომ რეაბილიტირებულ გ. ყ-შვილისათვის მორალური ზიანის, ფულადი კომპენსაციით ანაზღაურებას საფუძვლად დაუდო სსსკ-ის 221-ე მუხლი, რომლის თანახმად: "უნდა ანაზღაურდეს, საქმის შედეგების მიუხედავად, ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაპატიმრების, აგრეთვე, თანამდებობიდან გადაყენების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენეს.

და ასევე სსსკ-ის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის, მათ შორის -მორალური ზიანის, ანაზღაურებას ფულადი კომპენსაციით.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დასაბუთებული არ არის ის გარემოება, რომ რეაბილიტირებული გ. ყ-შვილი უკანონოდ ან დაუსაბუთებლად იყო დაპატიმრებული.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრებიდან, აღნიშნული გარემოების სათანადოდ დასაბუთებამდე საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გ. ყ-შვილის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხის გონივრულობის თაობაზე.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს საკასაციო პალატის მითითებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის -ი. ღ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ნ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 დეკემბრის განჩინება გ. ყ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#30¹-08

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვ. ბ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 აგვისტოს განაჩენით ხ. ბ-ა გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში.

ხ. ბ-ამ 2007 წლის 7 მარტს განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისი რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ ინფორმაციის ბეჭდვით ორგანოებში, ასევე ტელევიზიით გამოქვეყნება, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეული ხარჯის -4300 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -5000 ლარისა და პოლიციისა და პროკურატურის ორგანოების მიერ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის დადგენილებით ხ. ბ-ას განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაცია ხ. ბ-იას სრული რეაბილიტაციის შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში. ამასთან, სისხლის სამართლის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად ხ. ბ-ასათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა 2500 ლარის გადახდა. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეული ხარჯების -4300 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების -5000 ლარის ანაზღაურების ნაწილში, უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო.

ზემოაღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. ხ-ამ.

აპელანტები -საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილი და ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ხ-ია თავიანთი კერძო სააპელაციო საჩივრებით ითხოვდნენ გასაჩივრებული დადგენილების გაუქმებას ხ. ბ-ასათვის მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 2500 ლარის ანაზღაურების ნაწილში იმ მოტივით, რომ ფულადი კომპენსაციით ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურება სხვაგვარად შეუძლებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილი-სა და ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ხ-იას კერძო სააპელაციო საჩივრები, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის დადგენილება ხ. ბ-იას მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილმა კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ხ. ბ-იასათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების თაობაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ხ. ბ-იას მიმართ უნდა გამოყენებულიყო მორალური კომპენსაციის კანონით განსაზღვრული სხვა ფორმები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა რეაბილიტირებულ ხ. ბ-ას განცხადებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო წარმოების მასალები და შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლია-

ნობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავება ან დაპატიმრება, ამასთან, სასამართლომ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს დაკავების ან დაპატიმრების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს თავიანთ გადაწყვეტილებებში არ უმსჯელიათ იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატებოდა რეაბილიტირებულ ხ. ბ-ას დაპატიმრების უკანონობა. აღნიშნული გარემოების სათანადოდ გარკვევამდე საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ხ. ბ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების დაკისრების კანონიერებაზე.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს, რომელმაც, საკასაციო პალატის მითითების გათვალისწინებით, უნდა მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის -კ. ბ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინება რეაბილიტირებულ ხ. ბ-ას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#36¹-08

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რეაბილიტირებულ ნ. ბ-სა და მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ნ. ბ-ი, გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 დეკემბრის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენი ნ. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განჩინებით პროკურორ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ნ. ბ-ს მიმართ დარჩა ძალაში.

რეაბილიტირებულმა ნ. ბ-რმა 2008 წლის 19 მარტს განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეული ხარჯის -3 600 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -2 300 ლარისა და 60 000 ლარის ოდენობით პოლიციისა და პროკურატურის ორგანოების მიერ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის დადგენილებით ნ. ბ-ს განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაცია ნ. ბ-ს სრული რეაბილიტაციის შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში. ამასთან, სისხლის სამართლის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად ნ. ბ-სათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა 2000 ლარის გადახდა. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეული ხარჯის -3600 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -2300 ლარის ანაზღაურების ნაწილში, უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო.

ზემოაღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. მ-მემ, რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს წარმომადგენელმა ი. ჯ-მ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე კ. ბ-მ.

აპელანტი -მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. მ-ე თავისი კერძო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული დადგენილების, როგორც უკანონოს, გაუქმებას იმ მოტივით, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევას, არსებობდა ფაქტობრივი, მტკიცებულებითი და ფორმალური საფუძვლები მისი გამოყენებისათვის, რის გამოც ნ. ბ-ს პატიმრობაში ყოფნა არ უნდა მიჩნეულიყო დაუსაბუთებლად და უკანონოდ.

აპელანტი -საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე კ. ბ-ი თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული დადგენილების გაუქმებას რეაბილიტირებულ ნ. ბ-სათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

აპელანტი -რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს წარმომადგენელი ი. ჯ-ი თავისი საჩივრით ითხოვდა პოლიციისა და პროკურატურის ორგანოების მიერ ნ. ბ-ს მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას 60 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე კ. ბ-ს, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. მ-სა და რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს წარმომადგენელ ი. ჯ-ს კერძო სააპელაციო საჩივრები, ხოლო მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის დადგენილება რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე რეაბილიტირებულმა ნ. ბ-მ და მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. მ-მ კერძო საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი -პროკურორი დ. მ-ე თავისი საჩივრით ითხოვს ნ. ბ-სათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურებაზე უარის თქმას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა კერძო სააპელაციო საჩივარში.

კასატორი -რეაბილიტირებული ნ. ბ-ი თავისი საჩივრით ითხოვს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხის -2000 ლარის გაზრდას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს განცხადებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო წარმოების მასალები და შეამოწმა ნ. ბ-სა და მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 165-ე მუხლი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავება ან დაპატიმრება, ამასთან, სასამართლომ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს დაკავების ან დაპატიმრების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს თავიანთ გადაწყვეტილებებში არ უმსჯელიათ იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატებოდა რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს დაპატიმრების უკანონობა. აღნიშნული გარემოების სათანადოდ გარკვევამდე საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ნ. ბ-ს სასარგებლოდ მორალური ზიანისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების დაკისრების კანონიერებაზე.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს, რომელმაც, საკასაციო პალატის მითითების გათვალისწინებით, უნდა მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რეაბილიტირებულ ნ. ბ-სა და მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება რეაბილიტირებულ ნ. ბ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#111-06

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

მონაწილეობით განიხილა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძის, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ თ. ო-ძისა და რეაბილიტირებულ რ. ხ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ხ-შვილი 2001 წლის 27 სექტემბრიდან 2002 წლის 2 ოქტომბრამდე იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში.

2001 წლის 30 სექტემბერს რ. ხ-შვილს წარედგინა განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით.

საქმის განხილვა მიმდინარეობდა საპროცესო ნორმების დარღვევით, რის გამოც საქმე რამდენჯერმე დაბრუნდა დამატებით გამოძიებაში.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის განაჩენით რ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2001 წლის 27 სექტემბრიდან 2002 წლის 30 სექტემბრამდე.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 12 ივლისის განაჩენით თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 20 იანვრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 12 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა საქართველოს სსკ-ის 28-ე

მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

2005 წლის 14 ივლისს რ. ხ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მან მოითხოვა 2001 წლის 27 სექტემბრიდან 2002 წლის ოქტომბრამდე, უკანონო პატიმრობაში ყოფნის გამო, საპრობილეში ამანათების შეგზავნით მისი ოჯახის მიერ გაწეული ხარჯების: ქონებრივი ზიანისათვის -10 000 ლარის, მიუღებელი ხელფასის სახით -2 162, 29 ლარისა და მორალური ზიანისათვის -1 წლისა და 4 დღის პატიმრობაში, 3 წლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოფნისა და საქმის წარმოების გამო -100 000 ლარის, ე.ი. მთლიანად -112 162 ლარის ანაზღაურება.

განცხადება განსახილველად გადაეგზავნა თერჯოლის რაიონულ სასამართლოს.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2005 წლის 12 აგვისტოს თვითაცილების დადგენილების საფუძველზე საქმე გადაეგზავნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს და განსახილველად დაექვემდებარა ხარაგაულის რაიონულ სასამართლოს.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით რ. ხ-შვილი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დავალა ოფიციალურ ბეჭდვით გამოცემაში - „საკანონმდებლო მაცნეში“ შესაბამისი პუბლიკაციის გამოქვეყნება, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა რ. ხ-შვილისათვის სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის -2 162 ლარისა და 29 თეთრის და მორალური ზიანისათვის -3 000 ლარის გადახდა.

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თ. ო-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის დადგენილების გაუქმება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტმა -საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასამართლოს გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება ქონებრივი ზიანის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში რ. ხ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის შემცირება გონივრულ ფარგლებში, რადგან მიაჩნდა, რომ რ. ხ-შვილის სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის სახით 2162, 29 ლარის დაკისრება არასწორია, ვინაიდან იგი სამუშაოდან გადაყენებული არ ყოფილა საქართველოს სსსკ-ის 184-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი წესით. არასწორია ასევე რ. ხ-შვილის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 3 000 ლარის დაკისრება, ვინაიდან რ. ხ-შვილისათვის მორალური ზიანის ფულადი თანხით ანაზღაურების ნაცვლად შესაძლებელი იყო მისთვის ამგვარი ზიანის სხვაგვარად ანაზღაურება.

აპელანტმა -რ. ხ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა, უარი ეთქვას ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრების მოთხოვნებზე, გაუქმდეს ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის დადგენილება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მოითხოვა ქონებრივი ზიანის სახით მისთვის 17 000 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინებით ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის დადგენილება რეაბილიტირებულ რ. ხ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძემ, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თ. ო-ძემ და რეაბილიტირებულმა რ. ხ-შვილმა კერძო საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძე კერძო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 222-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „გადასახდელი არ ინიშნება, თუ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება გამოწვეული იყო წინასწარ განზრახვლად ცრუ აღიარებით (თვითგანთქმით), რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე“, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

ასევე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა განაცდური ხელფასის ანაზღაურება, რადგან საქართველოს სსსკ-ის 188-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თანამდებობიდან (სამუშაოდან) უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაყენების შედეგად ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სრული მოცულობით, საქმის შედეგის მიუხედავად, ხოლო იმავე კოდექსის 184-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესა-

ხებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით, გამომძიებელი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს, რომელიც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გასცემს ბრძანებას ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. განსასჯელი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან (სამუშაოდან) აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით (დადგენილებით), რაც რ. ხ-შვილის მიმართ არ განხორციელებულა და მისი სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი არ ყოფილა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილია რეაბილიტირებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ფორმები. მართალია, ამავე კოდექსის 165-ე მუხლის III ნაწილი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას აგრეთვე ფულადი კომპენსაციით, თუმცა მიაჩნია, რომ ფულადი კომპენსაციითაც მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურება სხვაგვარად შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-მე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინების გაუქმებას, მორალური ზიანის ანაზღაურებას ფულადი კომპენსაციის გარეშე ან საკომპენსაციო თანხის ოდენობის შემცირებას გონივრულ ფარგლებში.

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი თ. ო-მე კერძო საკასაციო საჩივრით აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 222-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ცრუ აღიარებით (თვითგანთქმით), რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე, გადასახდელი არ ინიშნება.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის III და 115-ე მუხლის IV ნაწილების თანახმად, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და მხოლოდ აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. მაგრამ ორივე ზემოაღნიშნული ზოგადი ხასიათის ნორმა, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 222-ე მუხლი კი სპეციალური. ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციისას გამოიყენება სპეციალური ნორმა. გარდა ამისა, მარტო აღიარება (ნებისმიერი ფორმით) საკმარისი არ არის პირის დამნაშავედ ცნობისათვის, მაგრამ სისხლისსამართალწარმოების ორგანოების მიერ დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველია.

პროკურორმა აღნიშნა, რომ განჩინებაში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; ამდენად, იგი ითხოვს განჩინების გაუქმებასა და საქმის გადაგზავნას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

რეაბილიტირებული რ. ხ-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს უკანონო, დაუსაბუთებელი სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას, უარის თქმას კასატორების მოთხოვნაზე და 112.162 ლარის ოდენობით მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლ. გ-მემ მხარი დაუჭირა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-მის კერძო საკასაციო საჩივარს. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსსკ-ის 223-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საფინანსო ორგანოების მეშვეობით, ამდენად, არასწორია ფინანსთა სამინისტროსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. იმავე კოდექსის 222-ე მუხლის II ნაწილის თანახმად კი, რადგან არ დასტურდება ხ-შვილის ახსნა-განმარტების იძულებით მიღების ფაქტი, გადასახდელი არ ინიშნება, რადგან ცრუ აღიარებას (თვითგანთქმას) აქვს ადგილი.

ამდენად, ლ. გ-მემ ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, უარის თქმა რეაბილიტირებულის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან თანხის ოდენობის შემცირება გონივრულ ფარგლებში.

რ. ხ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. ლ-მემ მხარი დაუჭირა რეაბილიტირებულის კერძო საკასაციო საჩივარს და ითხოვა მორალური და ქონებრივი ზიანის სრული ანაზღაურება.

ადვოკატმა რ. ლ-მემ იშუამდგომლა პალატის წინაშე, რათა უარი ეთქვას კასატორების -ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის მოთხოვნას.

რეაბილიტირებული რ. ხ-შვილი დაეთანხმა თავისი ადვოკატის მოთხოვნას.

პალატის სხდომაზე პროკურორმა ნ. გ-მემ მხარი დაუჭირა პროკურორ თ. ო-მის კერძო საკასაციო საჩივარს. მან აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია რ. ხ-შვილის სამსახურიდან გადაყენების საკითხი; არ გაარკვია, თუ რამდენად იყო იგი დაკავშირებული რეაბილიტირებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან. მან ეჭვი შეიტანა ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის დირექტორის მიერ 2005 წლის 25 მაისს გაცემულ ცნობაში, სადაც აღნიშნულია, თუ დროის რა მონაკვეთში მუშაობდა რ. ხ-შვილი იმ სისტემაში და რა თანხას შეადგენდა IV თანრიგის მუშის ხელფასი, მაგრამ ის, რომ ეს ხელფასი იყო ნამდვილად რ. ხ-შვილის, ამ ცნობიდან

არ დასტურდება. ამდენად, პროკურორს არასწორად მიაჩნია რეაბილიტირებულისთვის მიუღებელი ხელფასის -2162, 29 ლარის ანაზღაურება.

პროკურორმა აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლის III ნაწილით შემადგენელია მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი კომპენსაციით, მაგრამ იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ეთანხმება ზიანის ანაზღაურების ამ ფორმას, რადგან რ. ხ-შვილს მორალური ზიანი არ მისდგომია უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან განჩინებაში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, პროკურორმა ნ. გ-მემ ითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის გაგზავნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ თ. ო-ძის კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძისა და რეაბილიტირებულ რ. ხ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრების მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს პროკურორ თ. ო-ძის კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას რეაბილიტირებულ რ. ხ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ, რადგან საქართველოს სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილია რეაბილიტირებულისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ფორმები ფულადი კომპენსაციის გარეშე. იმავე კოდექსის 165-ე მუხლის III ნაწილი კი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას ფულადი კომპენსაციითაც, რაც ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირს მორალური ზიანი მიადგა უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რ. ხ-შვილის დაკავებისა და ბრალდებულად ცნობის დროს უხეშად დაირღვა საპროცესო ნორმები და მის მიმართ წარდგენილი ბრალდება მოკლებულია უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებებით დადასტურებულ საფუძველს, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 20 იანვრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 12 ივლისის განაჩენი და საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყდა სისხლის სამართლის საქმე რ. ხ-შვილის მიმართ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, მაგრამ ეს არ იძლევა რ. ხ-შვილისათვის ფულადი კომპენსაციით ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რადგან საქმის მასალებით არ იყო გამოკვლეული მისი დაპატიმრების კანონიერების ან უკანონობის საკითხი.

პალატა მიიჩნევს, რომ არასწორია ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის დადგენილებასა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინებაში (რომლითაც უცვლელად დარჩა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს დადგენილება) არსებული მითითება რ. ხ-შვილის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ, რადგან საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „პირის რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე, მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“, „ი“, „კ“, „მ“ ქვეპუნქტებსა და იმავე მუხლის II ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით“.

საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. ხ-შვილის რეაბილიტაციის საფუძველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ პირის მიმართ ასეთი მარეაბილიტირებელი საპროცესო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იგივე პირი, ხელახლა, დამატებით, სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით რეაბილიტირებულად ცნობას აღარ საჭიროებს, რის გამოც აღნიშნული მითითება განჩინებიდან უნდა ამოირიცხოს.

პალატა მიიჩნევს, რომ ასევე არასწორია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მითითება იმის თაობაზე, რომ „განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება“. საქართველოს სსსკ-ის 547-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, განჩინება და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა“.

ზემოაღნიშნული მითითება კი წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, რაც ზღუდავს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განსახილველად პროცესის მონაწილეთა უფლებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, ხოლო საქმეში არ არსებობს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, მიიღო გადაწყვეტილება გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ, რათა სააპელაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებისა და საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა შესაბამისად იმსჯელოს რ. ხ-შვილის დაპატიმრების კანონიერების ან უკანონობის თაობაზე და მიიღოს სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ თ. ო-ძის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძისა და რეაბილიტირებულ რ. ხ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინება რ. ხ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეაბილიტაცია, ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#281-09

16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რეაბილიტირებულ მ. მ-ს, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ნ. გ-სა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ს კერძო საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 აპრილიდან -დაკავების დღიდან. მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით მ. მ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და პატიმრობიდან გათავისუფლდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით ზუგდიდის რაიონული პროკურორის მოადგილე დ. ხ-ს მიერ სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად, რის გამოც აღნიშნული გამამართლებელი განაჩენი მ. მ-ს მიმართ დარჩა ძალაში.

2008 წლის 21 ოქტომბერს რეაბილიტირებულმა მ. მ-მ განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისი უკანონო მსჯავრდების შედეგად მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურება, კერძოდ: სააქციო საზოგადოება „—“ ქარხანაში დაპატიმრებამდე მის მიერ

დაკავებული ეკონომიკური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა; მისი პატიმრობის შედეგად სამუშაოზე გაცდენილი დროის -17 თვისა და 21 დღის საერთო შრომის სტაჟში ჩათვლა, ხოლო მიუღებელი ხელფასის კომპენსაციის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის 1500 ლარის გადახდა; იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება მისი რეაბილიტაციისა და მისთვის ბოდიშის მოხდის თაობაზე; სს „—“ ქარხანაში წერილობითი ინფორმაციის გაგზავნა სრულად რეაბილიტაციის შესახებ; უკანონო პატიმრობით მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის -საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნისას ფულად გზავნილებსა და ადვოკატებისათვის გადახდილ ჰონორარებზე გაწეული ხარჯების, სულ 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე, უკანონო პატიმრობაში ყოფნით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის 500 000 ლარის გადახდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის დადგენილებით მ. მ-ს განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, დადგინდა, რომ რეაბილიტირებულ მ. მ-ს უკანონო თავისუფლების აღკვეთის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანი, მიუღებელი ხელფასის სახით, ფინანსთა სამინისტროს ორგანოების მეშვეობით სრული მოცულობით აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შემდეგი გაანგარიშებით: 1 თვის სახელფასო განაკვეთი -55 ლარი, პატიმრობაში ყოფნის დრო -17 თვე და 21 დღე, ჯამში -972 ლარი, ხოლო პატიმრობაში ყოფნის დრო მ. მ-ს ჩათვალოს საერთო სამუშაო სტაჟში; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალოს ოფიციალურ გამოცემაში მ. მ-ს სრული რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება, ხოლო სამართალწარმოების შესაბამის ორგანოს დაევალოს რეაბილიტირებულისათვის წერილობითი ბოდიშის მოხდა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მ. მ-ს სრული რეაბილიტაციის შესახებ უნდა ეცნობოს სს „—“ ადმინისტრაციას, ხოლო რეაბილიტირებულ მ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსთა სამინისტროს ორგანოების მეშვეობით სრული მოცულობით უნდა აუნაზღაურდეს ადვოკატ ლ. ა-ს მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარი -500 ლარის ოდენობით.

ამასთან, მ. მ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მანქანათმშენებელ ქარხანაში აღრინდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ უსაფუძვლობის გამო; ასევე უარი ეთქვა სამსახურში არსებულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული პრობლემების განხილვაზე. არ დაკმაყოფილდა მ. მ-ს მოთხოვნა მორალური ზიანის ფულადი თანხით კომპენსაციის თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული დადგენილება კერძო სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: რეაბილიტირებულმა მ. მ-მ, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორმა ნ. გ-მ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ლ-მ. მ. მ-ე თავისი კერძო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის დადგენილების გაუქმებას განცხადების მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის ნაწილში და თავის მოთხოვნათა სრულყოფილად დაკმაყოფილებას, კერძოდ: სს „—“ ძველ თანამდებობაზე აღდგენასა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ნეგატიური ვითარების მის მიმართ შეუხებლობას; პატიმრობის პერიოდის უწყვეტ შრომით სტაჟში ჩათვლას; იძულებით განადღური ხელფასის ანაზღაურებას, გარდა 972 ლარისა, დამატებით 1130 ლარის ოდენობით მისი დათხოვნის შემდეგ გარდაიღვი ხელფასების შესაბამისად; მისი რეაბილიტაციის შესახებ სამსახურის ადმინისტრაციასთან ერთად ასევე შრომითი კოლექტივისათვის შეტყობინებას; მატერიალური ზიანისათვის 10 000 აშშ დოლარის, ხოლო მორალური ზიანისათვის -500 000 ლარის ანაზღაურებას. აპელანტები: პროკურორი ნ. გ-ე და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ლ-ე ითხოვდნენ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის დადგენილების გაუქმებას მ. მ-ს განცხადების მოთხოვნათა დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ამ ნაწილში დადგენილება დაუსაბუთებელია, განაცდური ხელფასის ანაზღაურება სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის თანმდევი, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო წესით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი წარედგინა სს „—“ ადმინისტრაციას, ამდენად, საფუძველს მოკლებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მითითება იმაზე, რომ მ. მ-ს რეაბილიტაციის თაობაზე უნდა ეცნობოს სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციას. რაც შეეხება ადვოკატისათვის გადახდილი თანხების ანაზღაურების ნაწილში მ. მ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, გასაჩივრებული დადგენილება აპელანტებს ამ ნაწილშიც უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, ვინაიდან, მათი აზრით, მ. მ-ს არ წარმოუდგენია ადვოკატ ლ. ა-სათვის დასახელებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კერძო სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით არ დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივრები, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის დადგენილება რეაბილიტირებულ მ. მ-ს მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე რეაბილიტირებულმა მ. მ-მ, პროკურორმა ნ. გ-მ და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-მ კერძო საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი მ. მ-ე საჩივრით ითხოვს იმ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას, რომლებიც მან წარადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თავისი კერძო სააპელაციო საჩივრით.

კასატორი, პროკურორი ნ. გ-ე თავის საჩივარში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მისი აზრით, რადგან სს „-“ ადმინისტრაციამ მ. მ-ე მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ აღადგინა სამუშაოზე, მასვე უნდა აენაზღაურებინა მისთვის განაცდური ხელფასი და ამ თანხების რეაბილიტირებულისათვის გადასახდელად სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაკისრება არაკანონიერად უნდა ჩაითვალოს; გარდა ამისა, კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ მიანიჭა რეაბილიტირებულ მ. მ-ს ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის კომპენსაცია -500 ლარის ოდენობით, რის გამოც ითხოვს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განჩინება, ხოლო რეაბილიტირებულ მ. მ-ს უარი ეთქვას თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

იმავე მოთხოვნას აყენებს კასატორი -საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ე საჩივრებული განჩინების იმ ნაწილში, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს რეაბილიტირებულ მ. მ-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება 970 ლარის ოდენობით, ვინაიდან მიაჩნია, რომ რეაბილიტირებულ მ. მ-ს განაცდური ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ანაზღაურებოდა იმ შემთხვევაში, თუკი იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისას, საქართველოს სსსკ-ის 188-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის ბრძანებით, გადაყენებული იქნებოდა თანამდებობიდან. ასეთი რამ კი რეალურად არ მომხდარა, რის გამოც მ. მ-მ აღნიშნულ თანხაზე სს „-“ უნდა იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ამასთან, კასატორი თვლის, რომ მ. მ-ს არ უნდა აუნაზღაურდეს საადვოკატო მომსახურების ხარჯად მიჩნეული თანხა -500 ლარი, სათანადო საფუძვლის არარსებობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა რეაბილიტირებულ მ. მ-ს განცხადებასთან დაკავშირებით წარმოებული საქმის მასალები და შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ რეაბილიტირებულ მ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო კასატორების -პროკურორ ნ. გ-სა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ს საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორ მ. მ-ს მოთხოვნას მის სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის განაცდური ხელფასის (972 ლარის) გარდა, მისი დათხოვნის შემდეგ გაზრდილი ხელფასის შესაბამისად დამატებით 1130 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება სს „-“ მის თანამდებობრივ განაკვეთზე ხელფასის ასეთი ზრდა. უსაფუძვლოა ასევე აღნიშნული კასატორის მოთხოვნა დაცვის მომსახურებისა და საქმის წარმოებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანგარიშში 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგან მას არ წარმოუდგენია ამ ხარჯების დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები, გარდა ადვოკატ ლ. ა-თვის გადახდილი 500 ლარისა. სასამართლომ მ. მ-ს აგრეთვე კანონიერად უთხრა უარი მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაზე, რადგან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, მორალური კომპენსაციის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოხდეს მაშინ, თუკი რეაბილიტირებული პირი სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაპატიმრებული იყო კანონის დარღვევით, ანუ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა უგულვებელყოფით, ხოლო გამამართლებელი განაჩენი არ მიუთითებს, რომ რეაბილიტირებულ მ. მ-ს დაპატიმრებისას დაირღვა საპროცესო ნორმები, ამასთან, სასამართლომ დაადგინა რეაბილიტირებულ მ. მ-ს მიმართ მორალური ზიანის კომპენსაციის კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების გამოყენების თაობაზე.

ამავე დროს საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის მიხედვით, პატიმრობაში ყოფნის დრო რეაბილიტირებულ მ. მ-ს არ უნდა ჩაეთვალოს უწყვეტ შრომით სტაჟში, რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დღიდან სს „-“ წინანდელ სამუშაოზე მისი აღდგენის დღემდე გასულია ოთხ თვეზე მეტი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 226-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული ვადა არ შეიძლება გამოითვალოს სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დღიდან, რადგან დადგენილია, რომ აღნიშნული განაჩენი პროკურორმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, რის გამოც საკასაციო ინსტანციის მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სამუშაოზე აღდგენის შესახებ მ.

მ-ს მოთხოვნის სავალდებულო დაკმაყოფილებისათვის. მართალია, სს „-“ ადმინისტრაციამ მ. მ-ე წინანდელ სამუშაოზე აღადგინა 2009 წლის 5 თებერვალს, მაგრამ ეს არ იყო მისთვის სავალდებულო, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში, თუკი ამის საჭიროება დადგებოდა, საქართველოს სსსკ-ის 226-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული სამთვინი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო 2009 წლის 17 მარტიდან, როდესაც საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და არა -2008 წლის 3 ოქტომბრიდან -მ. მ-ს მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დღიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეაბილიტირებულ მ. მ-ს პატიმრობაში გატარებული დრო -უნდა ჩაეთვალოს უწყვეტ შრომით სტაჟში, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მის სასიკეთოდ.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების -პროკურორ ნ. გ-სა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ს კერძო საკასაციო საჩივრებს, რადგან მათ მიერ თავიანთი მოთხოვნების დასაბუთებისათვის წარმოდგენილი მოსაზრებები და არგუმენტები არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და რეაბილიტირებულ მ. მ-ს განცხადებასთან დაკავშირებით წარმოებულ საქმეში არსებულ მასალებს, რის გამოც ამ კასატორების მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის იურიდიული სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ნ. გ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. ღ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

რეაბილიტირებულ მ. მ-ს კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: „რეაბილიტირებულ მ. მ-ს კერძო სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ“, ხოლო იმავე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

1. უარი ეთქვას მ. მ-ს - ადრინდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობის გამო;
 2. უარი ეთქვას მ. მ-ს ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით სს „-“ შექმნილი პრობლემების საკითხის განხილვაზე;
 3. რეაბილიტირებულ მ. მ-ს უსაფუძვლო მსჯავრდებისას თავისუფლების აღკვეთის შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, მიუღებელი ხელფასის სახით, ფინანსთა სამინისტროს ორგანოების მეშვეობით სრული მოცულობით აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შემდეგი გაანგარიშებით: 1 თვის სახელფასო განაკვეთი -55 ლარი, პატიმრობაში ყოფნის დრო -17 თვე და 21 დღე, ჯამში -972 ლარი;
 4. პატიმრობაში ყოფნის დრო მ. მ-ს ჩაეთვალოს უწყვეტ შრომით სტაჟში;
 5. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნდეს პუბლიკაცია მ. მ-ს სრული რეაბილიტაციის შესახებ, ასევე სამართალწარმოების შესაბამის ორგანოს დაევალოს რეაბილიტირებულისათვის წერილობითი ბოდიშის მოხდა;
 6. მ. მ-ს სრული რეაბილიტაციის თაობაზე ეცნობოს სს „-“ ადმინისტრაციას;
 7. რეაბილიტირებულ მ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსთა სამინისტროს ორგანოების მეშვეობით სრული მოცულობით აუნაზღაურდეს ადვოკატ ლ. ა-ს მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარი -500 ლარის ოდენობით;
 8. რეაბილიტირებულ მ. მ-ს უარი ეთქვას მორალური ზიანის ფულადი თანხით კომპენსაციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობის გამო.
- გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილში რეაბილიტირებულ მ. მ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ექსტრადიცია

განჩინება

#6¹

16 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ფ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. თ-ს კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა-ს რესპუბლიკის მოქალაქე ნ. ფ-ი, 2009 წლის 15 ნოემბერს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლით წითელი ცირკულარით ძებნილი, დააკავეს საქართველოში.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტიდან შევიდა შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით ნ. ფ-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და მიწოდებული მასალების თანახმად, ნ. ფ-ი იმხილება მკვლელობაში, დანაშაული, გათვალისწინებული აშშ-ს კალიფორნიის შტატის სსკ-ის 187-ე პარაგრაფის "ა" მუხლით. მან მკვლელობისას გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, რითაც გამოიწვია სიკვდილი და ამით დაარღვია კალიფორნიის შტატის სსკ-ის 12022.55 პარაგრაფის "გ" და "დ" მუხლები.

აღნიშნული ქმედებისათვის 2005 წლის 10 ნოემბერს კალიფორნიის შტატის უმაღლესმა სასამართლომ გასცა დაპატიმრების ორდერი და ნ. ფ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 იანვრის ბრძანებით ნ. ფ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ს 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა ნ. ფ-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

2010 წლის 13 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ფ-ს ადვოკატმა ი. თ-მ და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ს 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ ნ. ფ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებისათვის აშშ-ს კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით სასჯელის სახით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, ხოლო ის გარემოება, რომ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ნ. ფ-ს მიმართ არ გამოიყენებენ სიკვდილით დასჯას, ვინაიდან, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ის არ ექვემდებარება სიკვდილით დასჯას, მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს საკმარის გარანტიას, რომ ნ. ფ-ს მიმართ არ იქნება გამოყენებული სასჯელის აღნიშნული ღონისძიება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ფ-ს ადვოკატის -ი. თ-ს საჩივარი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ს 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილება ნ. ფ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გადაცემის შესახებ დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ფ-ს ადვოკატი ი. თ-ა კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ აღნიშნული დადგენილება უკანონოა; მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება ნ. ფ-ს ექსტრადიციის შესახებ სრულიად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, სისხლისსამართლებრივ პროცედურებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის იდენტიფიკაციას, დანაშაულის ხანდაზმულობას, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წე-

სებს, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს – "ნონ ბის ინ იდემ", დადგენილების ის ნაწილი, სადაც ასახულია ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპი, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად ნ. ფ-ს ბრალდებების სამართლებრივი საფუძვლები და მასზე ბრალად შერაცხული ქმედებების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასჯადობის საფუძვლები არის უკანონო, არ არის დასაბუთებული და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. ნ. ფ-ს ბრალი ედება მკვლელობაში, დანაშაული, გათვალისწინებული აშშ-ს კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე პარაგრაფის (ა) მუხლით, რისთვისაც სასჯელის სახით დადგენილია სიკვდილით დასჯა ან უვადო პატიმრობა პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ან თავისუფლების აღკვეთა 25 წლიდან უვადო პატიმრობამდე, 25 წლით სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმრობიდან განთავისუფლების უფლებით. დადგენილების მიმღები პირი ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის განხილვისას აღნიშნავს, რომ ნ. ფ-ს წარდგენილი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მის მიმართ სიკვდილის დასჯა არ გამოიყენება, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ის არ ექვემდებარება სიკვდილით დასჯას მოცემულ საქმეში. დადგენილების მიმღები პირის ზემოაღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის 2009 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებულ ერთობლივ დეკლარაციას ნ. ფ-ს, იგივე ნ. ა-ნ ფ-ს, იგივე ნ. ა-დ ფ-ს, იგივე ნ. ფ-ს, იგივე ნ. ს-ს ექსტრადიციის შესახებ, რომელიც მოცემულ საქმეზე წარმოადგენს ნ. ფ-ს ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციის მერვე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები თანხმდებიან, რომ ბრალდებები, რომელთა გამოც მოთხოვნილი იქნება ნ. ფ-ი, იგივე ნ. ა-ნ ფ-ი, იგივე ნ. ა-დ ფ-ე, იგივე ნ. ფ-ი, იგივე ნ. ს-ი, არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოაღნიშნული დეკლარაციის მეოთხე პუნქტში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების გადაწყვეტილება ნ. ფ-ს ექსტრადიციის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოწესრიგდება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად.

საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლის თანახმად, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩადინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან, თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსტრადიციის საკითხის განხილვისას სისხლის სამართალი არ შემოიფარგლება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით, არამედ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რომლებსაც უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობასთან მიმართებით, რაც ასევე აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილება ნ. ფ-ს ექსტრადიციის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სიკვდილით დასჯა აკრძალულია, ასევე ეწინააღმდეგება ერთობლივ დეკლარაციას ნ. ფ-ს ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით და საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლს.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ნ. ფ-ი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ იგი უსაფუძვლოდ იძებნება აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოების მიერ; საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებელი თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით; ჩამოსვლისთანავე დააკავეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, წაიყვანეს მისთვის გაუგებარ ადგილას და მიუსაჯეს 3-თვიანი პატიმრობა; არ ჰყავს ადვოკატი, რომელიც კარგად დაიცავს მის ინტერესებს; ერთადერთი, რაც მას განუმარტეს, არის ის, რომ უნდა მოახდინონ მისი ექსტრადირება აშშ-ში, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ვინაიდან დოკუმენტურადაა დადასტურებული ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ უდანაშაულო ადამიანების გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის ფაქტები.

საკასაციო პალატის სხდომაზე ნ. ფ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. თ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა -ნ. ფ-ა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას. მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილების გაუქმება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ნ. რ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო თანამშრომლობის წესს სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აგრეთვე მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხოელის სხვა ქვეყანაში ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით საპროცესო ნორმებს, განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავი. წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ნ-რ ფ-ი არის ა-ს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იმხილება მკვლელობაში, დანაშაული, გათვალისწინებული აშშ-ს კალიფორნიის შტატის სსკ-ის 187-ე პარაგრაფის "ა" მუხლით. მან მკვლელობისას გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, რითაც გამოიწვია სიკვდილი და ამით დაარღვია კალიფორნიის შტატის სსკ-ის 12022.55 პარაგრაფის "გ" და "დ" მუხლები. აღნიშნული ქმედებისათვის 2005 წლის 10 ნოემბერს კალიფორნიის შტატის უმაღლესმა სასამართლომ გასცა დაპატიმრების ორდერი და ნ-რ ფ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

საკასაციო პალატა ეთანხმება დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ს 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილება ნ-რ ფ-ს ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 254-ე, 256-ე, 259-ე მუხლების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავს სამართლებრივი დახმარების სახეებს, ექსტრადიციის მოთხოვნას, უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციას, უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების წესს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც, საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომ ნ. ფ-ს ქმედებები შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობას; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და პრინციპს "ნონ ბის ინ იდემ" (ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ, არ დაიწყონ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ).

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის 2009 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციით ნ-რ ფ-ს, იგივე ნ-რ ა-ნ ფ-ს, იგივე ნ. ა-დ ფ-ს, იგივე ნ. ფ-ს, იგივე ნ. ს-ს ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო თანხმდებიან, რომ ნ. ფ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში ბრალდებები, რომლებისთვისაც მოთხოვნილი იქნება ნ. ფ-ი, იგივე ნ. ა-ნ ფ-ი, იგივე ნ. ა-დ ფ-ე, იგივე ნ. ფ-ი, იგივე ნ. ს-ი არ ითვალისწინებენ სიკვდილით დასჯას ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად.

საქმეში არსებული საკრამენტოს ოლქის საოლქო პროკურორის მოადგილე ჯ-ნ ს-ს ჩვენების თანახმად, აშშ-ს კალიფორნიის შტატში მკვლელობისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი არის სიკვდილით დასჯა ან მუდმივი პატიმრობა პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე ან პატიმრობა 25 წლიდან მუდმივი პატიმრობის ვადით. თუმცა იმისათვის, რომ პირის მიმართ გამოყენებულ იქნეს სიკვდილით დასჯა, კალიფორნიის შტატმა უნდა წარადგინოს საგანგებო შემთხვევის განკარგულება და დამტკიცოს საგანგებო შემთხვევა წაყენებულ ბრალდებაში. კა-

ლიფორნიის შტატს არა მარტო არ წარუდგენია საგანგებო შემთხვევის განკარგულება, არამედ არც წაყენებულ ბრალდებაში შეუტანია მტკიცება საგანგებო შემთხვევის შესახებ, რომლის მხედველობაში მიღება, ბრალის გათვალისწინების შემთხვევაში, შედეგად სიკვდილის განაჩენს გამოიწვევდა. შესაბამისად, "ნ. ფ-ი არ არის მიჩნეული სიკვდილით დასჯის ღირსად ამ საქმეში". თუკი ნ. ფ-ს დაუმტკიცდება სასჯელის დამძიმება, სასჯელი გაეზრდება დამატებითი 25 წლის ვადით მუდმივ პატიმრობამდე, რაც უნდა მოიხადოს სახელმწიფო ციხეში.

აღნიშნული პოზიციის საფუძვლიანობას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე პარაგრაფის "ა" მუხლისა და დამატება სისხლის სამართლის კოდექსის 12022.53 პარაგრაფის ამონარიდები, რომელთა მიხედვით, მკვლელობა წარმოადგენს კანონის დარღვევით ადამიანისათვის განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ სიცოცხლის მოსწრაფებას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. ამასთან, მიუხედავად კანონით გათვალისწინებული სხვა დებულებებისა, ნებისმიერი ადამიანი, ვინც ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, როგორც ეს დანაშაული განსაზღვრულია 246-ე პარაგრაფის "ა" ან "ც" ქვეთავებში, აგრეთვე - 12304-ე პარაგრაფის "დ" ქვეთავში და პირადად შეასრულებს გასროლას, რომელიც იქნება განზრახ ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და ამით გამოიწვევს სხვა ადამიანის სხეულის დაზიანებას, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 12022.7 პარაგრაფით ან გამოიწვევს სხვა ადამიანის სიკვდილს და იგი არ იქნება მისივე თანამზრახველი, მაშინ ეს პირი დაისჯება დამატებითი და თანმიმდევრული თავისუფლების აღკვეთით და გაიგზავნება სახელმწიფო ციხეში 25 წლიდან მუდმივი პატიმრობის ვადის დაწესებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება "ექსტრადიციის შესახებ" 1957 წლის ევროპული კონვენციით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტს შორის 2009 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციითა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის დადგენილება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ს 2009 წლის 16 დეკემბრის დადგენილება ნ-რ ფ-ს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გადაცემის შესახებ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#7¹-10

26 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშარელი,**
- ვ. როინიშვილი**

განიხილა ნ. ს-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -ჯ. ქ-ას კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლის დადგენილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც უცვლელად დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილება ნ. ს-ის უზბეკეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 22 სექტემბერს აჭარის ა/რ-ის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს უზბეკეთის რესპუბლიკის ანდიჟანის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ ძებნილი ნ. ს-ის ძე ს-ი.

უზბეკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული მასალებით ირკვევა, რომ ნ. ს-ი ცნობილ იქნა ბრალეულად უზბეკეთის რესპუბლიკის სსკ-ის 242-ე მუხლის I ნაწილით, 244¹ მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ და 159-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 244² მუხლის I ნაწილით, 223-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 246-ე მუხლის I ნაწილით, 243-ე მუხლით, 189-ე მუხლის III ნაწილით, 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 28, 209-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 165-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

2009 წლის 24 ივნისს ქალაქ ანდიჟანის სასამართლოს მოსამართლის დადგენილებით ნ. ს-ვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ანდიჟანის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს 2009 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით ნ. ს-ი ზემოაღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის ბრალდებით დაუსწრებლად იქნა მიცემული პასუხისმგებლობაში.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში უზბეკეთის რესპუბლიკის ძებნილი მოქალაქის -ნ. ს-ის დაკავების შემდეგ ბათუმის რაიონულმა პროკურატურამ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას ნ. ს-ის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2009 წლის 24 სექტემბრის ბრძანებით ნ. ს-ვს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით. იმავე დღეს განხორციელდა მისი ეტაპირება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თბილისის #8 საპყრობილეში.

ნ. ს-ვს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან -2009 წლის 22 სექტემბრიდან.

2009 წლის 21 ოქტომბერს -ფაქსის მეშვეობით, ხოლო იმავე წლის 17 ნოემბერს -ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში ნ. ს-ის ექსტრადიციის თაობაზე შევიდა უზბეკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად, რითაც დაცულ იქნა უზბეკეთის რესპუბლიკისა და საქართველოს შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მ. გ-ის 2009 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნ. რ-ას შუამდგომლობის საფუძველზე, ნ. ს-ვს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა კიდევ ორი თვით, ხუთ თვემდე -2010 წლის 22 თებერვლამდე.

2009 წლის 28 ოქტომბერს ნ. ს-ვმა განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლი უკრძალავს ხელმომწერ სახელ-

მწიფოებს იმ პირის ექსტრადიციას, ვისაც მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი. ვინაიდან საქართველო ხსენებული კონვენციის მონაწილეა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ შეაჩერა საექსტრადიციო პროცედურები საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე. 2010 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის ცნობილი გახდა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უარი უთხრა ნ. ს-ვს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. შესაბამისად, განახლდა საექსტრადიციო პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილებით დაკმაყოფილდა უზბეკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ნ. ს-ის უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის თაობაზე.

ზემოაღნიშნული დადგენილება ნ. ს-ვმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ს-ის მოთხოვნა მისი უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის გაუქმების თაობაზე, რაც 2010 წლის 17 თებერვალს ნ. ს-ვმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ქ-ამ გაასაჩივრეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2010 წლის 17 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნ. რ-ამ და მოითხოვა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ს-ის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ორი თვით -2010 წლის 22 აპრილამდე გაგრძელება.

იმის გათვალისწინებით, რომ საექსტრადიციო პატიმრობის დამატებითი ორთვიანი პერიოდი საკმარისი არ აღმოჩნდა ყველა საექსტრადიციო პროცედურის დასასრულებლად და ექსტრადიციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გარკვეული პერიოდი, ნ. ს-ის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა კი იწურებოდა 2010 წლის 22 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 18 თებერვლის ბრძანებით დაკმაყოფილდა პროკურორ ნ. რ-ას შუამდგომლობა და ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს -ნ. ს-ვს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა ორი თვით (შვიდ თვემდე) -2010 წლის 22 აპრილამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილებების თაობაზე ნ. ს-ვმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ქ-ამ კერძო საკასაციო საჩივრით მო.თეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს ნ. ს-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით მისი უზბეკეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ ზემოაღნიშნული დადგენილებების გაუქმება.

სასამართლო სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ნ. ს-ვმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ქ-ამ მხარი დაუჭირეს კერძო საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება იმ საფუძველზე, რომ ბრალდებული არის რელიგიური ნიშნით დევნილი, რის გამოც უზბეკეთის მხარისათვის გადაცემის შემთხვევაში, სადაც მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები, მის მიმართ განხორციელდება წამება და არაადამიანური მოპყრობა.

პროკურორმა ნ. რ-ამ საჩივარი მიიჩნია უსაფუძველოდ და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის დადგენილებების, როგორც კანონიერისა და დასაბუთებულის, ძალაში დატოვება, რადგან აღნიშნული დადგენილებები გამოტანილია საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილებები უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაცვის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ნ. ს-ი იყო რელიგიურ-ექსტრემისტული მოძრაობა „ვაჰაბიზმის“ წევრი, მან შექმნა ახალი რელიგიურ-ექსტრემისტული მოძრაობა „ჟამოატი“ და მასში გააერთიანა მეწარმეები.

ადვოკატს მიაჩნია, რომ ნ. ს-ვს მის მიმართ ინკრიმინირებული არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია, იგი არის რელიგიური ნიშნით დევნის მსხვერპლი, მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები ხელოვნურადაა შექმნილი და, შესაბამისად, ემსახურება შემდგომში ნ. ს-ის მიმართ უსამართლო დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანს, რაც გამოიწვევს გამოუსწორებელ ზიანს, ხოლო მისი ასეთი პოზიციის რეალურობას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ნ. ს-ის ოჯახის წევრები ამჟამად არ იმყოფებიან უზბეკეთში, ვინაიდან მათ მიმართ უზბეკეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სრულიად უკანონოდ ახორციელებენ დევნას რელიგიური ნიშნით –მათ არ აძლევენ საკუთარ სამშობლოში დაბრუნებისა და ცხოვრების შესაძლებლობას. ნ. ს-იც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გაიქცა უზბეკეთიდან, რადგან მან შეიტყო მუსულმანების უსაფუძვლო დაპატიმრების შესახებ.

დაცვის მხარის აზრით, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების გამო, ნ. ს-ის უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია რეალური საფრთხის ქვეშ დააყენებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებული ძირითადი უფლებების დაცვას.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციის დებულებების შესაბამისად, რომლის მონაწილეებიც არიან საქართველო და უზბეკეთის რესპუბლიკა, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია ვალდებულებას კისრულობენ, გადასცენ ერთმანეთს სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებული პირები.

უზბეკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უზბეკეთის რესპუბლიკის ოლის მაჯლისის 1995 წლის 31 აგვისტოს #130-1 დადგენილებით მოხდა „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ“ გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციის რატიფიცირება, რითაც უზბეკეთის რესპუბლიკამ აიღო კონვენციის დებულებების დაცვის ვალდებულება. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ უზბეკეთის რესპუბლიკამ მოახდინა ზემოხსენებული კონვენციის რატიფიცირება, უპირობოდ არ წარმოდგენს საკმარის საფუძველს, რათა მიმდებმა სახელმწიფომ არ დაარღვიოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

პალატის აზრით, პირის სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხის განხილვისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო დამაბრკოლებელი გარემოება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელსა და არც სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევიათ ექსტრადირებულის მიმდებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა წამების საფრთხის მხრივ. არ უმსჯელიათ და სათანადოდ არ გამოუკვლევიათ ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლისა და გაეროს წამების კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხე და ამ საფრთხის რეალურობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, ცნობს და აღიარებს რა საერთაშორისო კონვენციებით, პაქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და ზემოთ განხილულ გარემოებებს აფასებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით, თვლის, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილებები ნ. ს-ის უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ნ. ს-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -ჯ. ქას კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 თებერვლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის - თ. ბ-ის 2010 წლის 1 თებერვლის დადგენილებები ნ. ს-ის უზბეკეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

გაუქმდეს ნ. ს-ის ძე ს-ის მიმართ შერჩეული საექსტრადიციო პატიმრობა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#12¹

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის - ვ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. მ-ას კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მოქალაქე ვ. კ-ი 2009 წლის 16 დეკემბერს ქ. თბილისში, მეტროს სადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შსს საგამომიებო-ოპერატიული სამმართველოს საგამომიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს როგორც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირი.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში გენერალური პროკურატურიდან შევიდა შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით ვ. კ-ის ექსტრადიციის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობის თანახმად, 2009 წლის 14 ოქტომბერს ვ. კ-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შსს მთავარი სამმართველოს ქალაქ ...-ის რაიონულ სამმართველოში გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-12 პუნქტისა (განზრახ მკვლელობა, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად) და 146-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ადამიანის უკანონო გატაცება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო ვ. კ-ის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვ. კ-ი თავს არიდებდა საგამომიებო ორგანოებს და დაუდგენელი იყო მისი საცხოვრებელი ადგილი, 2009 წლის 26 ოქტომბერს გამოცხადდა ბრალდებულის ძებნა. 2009 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ ...-ის სასამართლომ გასცა ბრძანება ვ. კ-ის დაკავებისა და მისი სასამართლოში წარდგენის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით ბრალდებულ ვ. კ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ვ. კ-ის მიმართ გამოყენებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა დამატებით 2 თვით, ანუ 2010 წლის 16 მაისამდე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის - თ. ბ-ის 2010 წლის 22 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-12 პუნქტისა (განზრახ მკვლელობა, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად) და 146-ე მუხლის პირველი ნაწილით (ადამიანის უკანონო გატაცება) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ვარაუდის გამო ვ. კ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. ამავე დადგენილებით არ დაკმაყოფილდა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ვ. კ-ის უკრაინის სსკ-ის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ადამიანის უკანონო გატაცება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი) კვალიფიკაციით ექსტრადიციის შესახებ.

2010 წლის 25 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ვ. კ-მა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 22 მარტის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ გამოიძევა არაკანონიერად ჩატარდება, ამასთან, იგი მუშაობდა უკრაინის განსაკუთრებულ დავალებათა IX სამმართველოში და ფლობს ინფორმაციას სხვადასხვა საინტერესო ფაქტის შესახებ, რის გამოც მიაჩნია, რომ იგი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული დევნის მსხვერპლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 22 მარტის დადგენილება ვ. კ-ის მიმართ სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ვ. კ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. მ-ა კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილების გაუქმებას, ვინაიდან ხსენებული დადგენილების მიღებისას სათანადო ორგანოებს არ უმსჯელიათ და არ შეუფასებიათ ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლისა და გაეროს წამების კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხე და ამ საფრთხის რეალობა.

საკასაციო პალატის სხდომაზე ვ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. მ-ამ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა -ვ. კ-მა მხარი დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვა დადგენილების გაუქმება, რათა არ მოხდეს მისი ექსტრადიცია, ვინაიდან იგი არის უდანაშაულო, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე შესაძლოა, განხორციელდეს პოლიტიკური ანგარიშსწორება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-მ მხარი არ დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო თანამშრომლობის წესის სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აგრეთვე მოიცავს საპროცესო ნორმებს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხოელის სხვა ქვეყანაში ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავი.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ვ. კ-ი არის მოქალაქე, რომლის მიმართაც უკრაინის შსს მთავარი სამმართველოს რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, რომლის თანახმადაც, ვ. კ-ს ბრალად ედება ადამიანის უკანონო გატაცება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი და განზრახ მკვლელობა, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად. აღნიშნული ქმედებების ჩადენისათვის ვ. კ-ი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და იმავე კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, რის გამოც ქალაქ ...-ის რაიონის სასამართლომ გასცა ბრძანება ვ. კ-ჩის დაკავებისა და მისი სასამართლოში წარდგენის შესახებ.

საკასაციო პალატა ეთანხმება დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 22 მარტის დადგენილება ვ. კ-ის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 256-ე, 259-ე მუხლების მოთხოვნებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც, საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე, დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომ ვ. კ-ის ქმედებები შეესაბამება საქართველოს სსკ-ის

109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და 143-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების დასჯადობას; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს „ნე ბის ინ იდემ“ (ექსტრადიცი არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ, არ დაიწყონ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, უკრაინასა და საქართველოს შორის არსებული „საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1995 წლის 9 იანვრის ორმხრივი ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის დადგენილება ვ. კ-ის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#18^I-10

23 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ა. ნ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ჩ-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

..... რესპუბლიკის მოქალაქე ა. ნ-ი. მცხოვრები ... რესპუბლიკაში, ქ-ის, #14-ის, ბინა #5-ში, 2009 წლის 17 ოქტომბერს ქ. თბილისში საქართველოს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს როგორც რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირი.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან შევიდა შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით ა. ნ-ის სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობისა და თანდართული საექსტრადიციო მასალების თანახმად, ა. ნ-ს ბრალად ედება სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლი-

თურად დაუფლება (დანაშაული, გათვალისწინებული რესპუბლიკის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტით და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი პუნქტით).

აღნიშნული ქმედებისათვის 2009 წლის 1 ივლისს ა. ნ-ი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ზემოაღნიშნული ბრალდებით და ქ. . . .-ის საერთო სათვისტომოს სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

. . . . რესპუბლიკის პოლიციის სისხლის სამართლის სამმართველოს საგამომიებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა 2009 წლის 1 ივლისს გამოიტანა დადგენილება ა. ნ-ის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით ბრალდებულ ა. ნ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 იანვრის ბრძანებით ა. ნ-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა 2 თვით, 2010 წლის 17 მარტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2010 წლის 11 მარტის ბრძანებით ა. ნ-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა კვლავ გაუგრძელდა 2 თვით, 2010 წლის 17 მაისამდე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 20 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა . . . რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ა. ნ-ის ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

2010 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ა. ნ-ის ადვოკატმა ბ. ჩ-მა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 20 მარტის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ აღნიშნული დადგენილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან ბრალდებული ა. ნ-ი არ არის ნასამართლევნი, ჰყავს ოთხი მცირეწლოვანი შვილი, მოხუცი დედა, ხასიათდება დადებითად, თბილისში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; იგი რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ იდენიება პოლიტიკური ნიშნით, ვინაიდან არის ადამიანის უფლებების დამცველი, . . . ერთა კონგრესის ნდობით აღჭურვილი პირი და ასრულებდა აგიტატორის ფუნქციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ის 2010 წლის 20 მარტის დადგენილება ა. ნ-ის მიმართ . . . რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ა. ნ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ. ჩ-ი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილების გაუქმებას, ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია საქართველოს საზღვარი მან გადმოკვეთა ლეგალურად; მის მიმართ წაყენებული ბრალდება არის მოგონილი, რადგან ხელისუფლების მიზანია მისი დაბრუნება, რათა მასზე, როგორც ოპოზიციონერ პირზე, მოხდეს ფიზიკური ანგარიშსწორება. ა ნ-ი არის ოპოზიციური პარტიის წევრი, . . . ერთა კონგრესის ნდობით აღჭურვილი პირი და აგიტატორი.

საკასაციო პალატის სხდომაზე ა. ნ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. ჩ-მა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა -ა. ნ-მა მხარი დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვა დადგენილების გაუქმება, რათა არ მოხდეს მისი ექსტრადიცია . . . რესპუბლიკაში, ვინაიდან იგი არის უდანაშაულო, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე შესაძლოა, განხორციელდეს პოლიტიკური ანგარიშსწორება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-ემ მხარი არ დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო თანამშრომლობის წესს სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს აგრეთვე საპროცესო ნორმებს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხოელის სხვა ქვეყანაში ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავი.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ა. ნ-ი არის ... რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იმხილება სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითურად დაუფლებაში (დანაშაული, გათვალისწინებული რესპუბლიკის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი პუნქტით). 2009 წლის 1 ივლისს ა. ნ-ი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ზემოაღნიშნული ბრალდებით. 2009 წლის 1 ივლისის რესპუბლიკის თემის იურისდიქციის საერთო სათვისტომოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ა. ნ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება, ხოლო 2009 წლის 1 ივლისს რესპუბლიკის პოლიციის სისხლის სამართლის სამმართველოს ... საგამომიებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ა. ნ-ის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილება ა. ნ-ის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 256-ე, 259-ე მუხლების მოთხოვნებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები და მხარესაც არ წარმოდგენია სასამართლო სხდომაზე რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ექსტრადიციას უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს "ნონ ბის ინ იდემ" (ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ, არ დაიწყონ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება "ექსტრადიციის შესახებ" 1957 წლის ევროპული კონვენციით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, რესპუბლიკასა და საქართველოს შორის "გადაცემის შესახებ" 1997 წლის 3 მაისის ორმხრივი ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის დადგენილება ა. ნ-ის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ძებნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#21¹

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ვ. როინიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 31 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ი. დ-მემ და ითხოვა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის მიმართ შეფარდებული საექსტრადაციო პატიმრობის ვადის ორი თვით -2010 წლის 7 აგვისტომდე გაგრძელება.

შუამდგომლობის თანახმად, 2010 წლის 7 იანვარს, 12 საათსა და 32 წუთზე, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. ქუთაისში, ... ქ.#2 ბ. #205/206 დააკავეს ს. მ-ელი, რომელიც იძებნება უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ. უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 აგვისტოს დადგენილება, რომლის თანახმად, გაიცა, ს. მ-ელის სასამართლოში წარდგენის მიზნით მისი დაკავების ნებართვა.

ამასთან, უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც სასამართლოს წარმომადგენელმა არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმის (#1-736/06; წინასწარი გამოძიების #06236102) მიზნებისათვის გამოცხადდა ს. მ-ელის ძებნა, მისი შემდგომი დაკავებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.

2010 წლის 8 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ს. მ-ელს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და იგი მოათავსეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესაბამის დაწესებულებაში.

2010 წლის 28 იანვარს ფაქტის მეშვეობით, ხოლო ამავე წლის 9 თებერვალს ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა უკრაინის გენერალური პროკურატურისა და უკრაინის იუსტიციის მინისტრის შუამდგომლობები თანდართულ მასალებთან ერთად ს. მ-ელის ექსტრადიციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 31 მარტის ბრძანებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ი. დ-მის შუამდგომლობის საფუძველზე ს. მ-ელს გაუგრძელდა საექსტრადიციო პატიმრობის ვადა კიდევ ორი თვით, ხუთ თვემდე -2010 წლის 7 ივნისამდე.

2010 წლის 20 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის მიერ დაკმაყოფილდა ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციის მოთხოვნა, მის მიერ უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 23 ივნისის ეპიზოდი, 2006 წლის 28 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ვარაუდის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. ამავე დადგენილებით უკრაინის გენერალურ პროკურატურას უარი ეთქვა ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციაზე უკრაინის სსკ-ის მე-15 მუხლის II ნაწილით -307-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 29 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

უკრაინის იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული მასალებით ირკვევა, რომ ს. მ-ელს ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა გასაღების მიზნის გარეშე, ჩადენილი არაერთგზის (დანაშაული, გათვალისწინებული უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის II ნაწილით);

ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (დანაშაული, გათვალისწინებული უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლით);

ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების დაუმთავრებელი მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (დანაშაული, გათვალისწინებული უკრაინის სსკ-ის მე-15 მუხლის III ნაწილით -307-ე მუხლის II ნაწილით).

გასაჩივრებული ბრძანების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2010 წლის 8 იანვრის ბრძანების საფუძველზე ს. მ-ელის მიმართ შეფარდებული სამთვიანი საექსტრადაციო პატიმრობა, შემდეგ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განსაზღვრული დამატებითი ორთვიანი ვადა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გონივრულად იქნა გამოყენებული. კერძოდ:

ს. მ-ელის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის მიღებამდე მთავარი პროკურატურა მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციაზე. ამასთან, დროის აღნიშნულ პერიოდში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, ითვლებოდა თუ არა ს. მ-ელი საქართველოს მოქალაქედ და სარგებლობდა თუ არა იგი საქართველოში პოლიტიკური თავშესაფრით.

2010 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უკრაინის გენერალური პროკურატურიდან და უკრაინის იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაციები იმის შესახებ, „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხაში“ მითითებულ რომელ ნარკოტიკულ საშუალებას შეესაბამებოდა ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული ნარკოტიკული საშუალება „აცეტილირებული ოპიუმი“.

აღნიშნულ წერილზე პასუხის მიღების შემდეგ, 2010 წლის 20 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გამოიტანა დადგენილება უკრაინის გენერალური პროკურატურისა და უკრაინის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობების დაკმაყოფილებისა და ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიერ უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 23 ივნისის ეპიზოდი; 2006 წლის 28 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ვარაუდის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, ხოლო უკრაინის სსკ-ის მე-15 მუხლის II ნაწილით -307-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 29 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ს. მ-ელის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით უკრაინის გენერალურ პროკურატურას უარი ეთქვა მის უკრაინაში ექსტრადიციაზე.

აღნიშნული დადგენილების ასლი, რუსულ თარგმანთან ერთად, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჩაჰბარდა 2010 წლის 24 მაისს. ს. მ-ელს ასევე განემარტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი უფლებები ექსტრადიციის შესახებ დადგენილების გასაჩივრების წესისა და ვადების შესახებ.

არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის 2010 წლის 20 მაისის დადგენილება ს. მ-ელმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ი. დ-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის მიმართ საექსტრადაციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა ორი თვით, შვიდ თვემდე -2010 წლის 7 აგვისტომდე.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ჯ-შვილი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანების გაუქმებას იმ მოტივით, რომ ს. მ-ელის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელება სრულიად უსაფუძვლოა. მას ეზღუდება უფლება, შეხვდეს თავის მცირეწლოვან შვილს, რომელიც იმყოფება საქართველოში, რის გამოც განიცდის სულიერ ტანჯვას. ის გარემოება, რომ საექსტრადიციო პროცედურების დასრულებისათვის ხუთთვიანი პატიმრობის ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრძანების დასაბუთების ლოგიკურ არგუმენტად; ასევე არ შეიძლება პატიმრობის ვადის გაგრძელება დასაბუთდეს იმ მოტივით, რომ ს. მ-ელმა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება და დადგენილება ექსტრადიციის დაკმაყოფილების შესახებ გაასაჩივრა სასამართლოში.

ამასთან, ადვოკატი საჩივარში აღნიშნავს, რომ 2010 წლის 20 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ დააკმაყოფილა ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციის მოთხოვნა,

რომელიც საპროცესო ნორმების შესაბამისად გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში იმ მოტივით, რომ ს. მ-ელის მიმართ შერაცხული ბრალდება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი არ არის, ნივთიერება, რომლის შენახვა-შემენისას ს. მ-ელს წარდგენილი აქვს ბრალდება "აცეტილირებული ოპიუმი" საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ე.წ. ნუსხაში მითითებული არ არის, ხოლო თუ რა ნივთიერებასთან გვაქვს საქმე, საჭიროებს დამატებითი ექსპერტიზის ჩასატარებლად საქართველოში ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვას, რათა ზუსტად დადგინდეს ნივთიერების ქიმიური და ფიზიკური თვისებები, რის შემდეგაც დადასტურდება არის თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე ნარკოტიკული საშუალების შემცველობა.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ჯ-შვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა წარმოდგენილი საჩივრის დაკმაყოფილება, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანების გაუქმება, რასაც დაეთანხმა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი -ს. მ-ელი.

საკასაციო პალატის სხდომაზე საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს პროკურორმა ი. დ-მემ იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრძანება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის 7 იანვარს საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. ქუთაისში, ... ქ.#2, ბ.#205/206-ში დააკავეს უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ს. მ-ელი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2010 წლის 8 იანვრის ბრძანების საფუძველზე ს. მ-ელს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ტარიელ ტაბატაძის 2010 წლის 31 მარტის ბრძანებით გაგრძელდა კიდევ ორი თვით, ხუთ თვემდე -2010 წლის 7 ივნისამდე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საექსტრადიციო პატიმრობის ზემოაღნიშნული დამატებითი ორთვიანი პერიოდი საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გონივრულად იქნა გამოყენებული. მთავარმა პროკურატურამ აღნიშნულ პერიოდში მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, ითვლებოდა თუ არა ს. მ-ელი საქართველოს მოქალაქედ და სარგებლობდა თუ არა იგი საქართველოში ლტოლვილის სტატუსით ან მოთხოვნილი ჰქონდა თუ არა საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი.

2010 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უკრაინის გენერალური პროკურატურიდან და უკრაინის იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაციები იმის შესახებ „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხაში“ მითითებულ რომელ ნარკოტიკულ საშუალებას შეესაბამებოდა ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული ნარკოტიკული საშუალება „აცეტილირებული ოპიუმი“. აღნიშნულ წერილზე პასუხის მიღების შემდეგ, 2010 წლის 20 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გამოიტანა დადგენილება უკრაინის გენერალური პროკურატურისა და უკრაინის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობების დაკმაყოფილებისა და ს. მ-ელის უკრაინაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიერ უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 23 ივნისის ეპიზოდი; 2006 წლის 28 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ვარაუდის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, ხოლო უკრაინის სსკ-ის მე-15 მუხლის II ნაწილით -307-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 29 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ს. მ-ელის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით უკრაინის გენერალურ პროკურატურას უარი ეთქვა მის უკრაინაში ექსტრადიციაზე.

აღნიშნული დადგენილება ს. მ-ელმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც მხარეების განმარტებით, დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული ბრძანების მოტივაციას იმის თაობაზე, რომ, მართალია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გონივრულად გამოიყენა ექსტრადიციის განხილვისათვის განკუთვნილი დრო, თუმცა საექსტრადიციო საკითხების გასარკვევად, საექსტრადიციო პატიმრობის დამატებითი ორთვიანი პერიოდი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ყველა საექსტრადიციო

პროცედურის დასრულებისათვის, ვინაიდან ექსტრადიციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გარკვეული პერიოდი, ს. მ-ელის მიმართ შეფარებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა კი იწურება 2010 წლის 7 ივნისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან საექსტრადიციო პროცედურები ამ ეტაპზე საბოლოოდ არ არის დასრულებული ექსტრადიციის განხორციელებისათვის არსებული საჭიროების გამო, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სხვა სახე ვერ უზრუნველყოფს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სათანადო ქცევას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანება ს. მ-ელის მიმართ შეფარებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ორი თვით, შვიდ თვემდე, 2010 წლის 7 აგვისტომდე გაგრძელების თაობაზე კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანება, რომლითაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა ორი თვით, შვიდ თვემდე -2010 წლის 7 აგვისტომდე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#22¹

8 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ვ. როინიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 28 იანვარს ფაქსით, ხოლო 2010 წლის 9 თებერვალს ფოსტის საშუალებით უკრაინის გენერალური პროკურატურიდან, ასევე 2010 წლის 1 თებერვალს ფაქსით, ხოლო 2010 წლის 23 თებერვალს ფოსტის საშუალებით უკრაინის იუსტიციის სამინისტროდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა შესაბამისად უკრაინის გენერალური პროკურორისა და უკრაინის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობები ს. მ-ელის ექსტრადიციის შესახებ, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ორი ეპიზოდი) - (ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და მე-15 მუხლის მე-3 ნაწილით -307-ე მუხლის მე-2 ნაწილით - (ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების დაუმთავრებელი მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ვარაუდის გამო, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

უკრაინის გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ ს. მ-ელის მიმართ უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრუ-

ლია ორი სისხლის სამართლის საქმე -#1-736/06 და #06210543, რომელთა შორის პირველი (#1-736/06 -წინასწარი გამოძიების #06236102) არსებითი განხილვის მიზნით გადაგზავნილია ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონულ სასამართლოში, ხოლო მეორე (#06210543 საქმე) წარმოებაში აქვს უკრაინის შსს პოლტავის ოლქის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას.

უკრაინის იუსტიციის სამინისტროდან მიღებული შუამდგომლობის თანახმად, ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სისხლის სამართლის #1-736/06 საქმე (წინასწარი გამოძიების #06236102), რომლის მიზნებისთვისაც 2006 წლის 22 ივლისის დადგენილებით ს. მ-ელი მიეცა პასუხისმგებში უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

2006 წლის 29 სექტემბრის ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, ვინაიდან ს. მ-ელმა დაარღვია მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - "გაუსვლელობის ხელწერილის" პირობები, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის გამოცხადდა მისი ძებნა მისი შემდგომი დაკავებისა და სასამართლოში წარდგენის მიზნით.

2009 წლის 18 აგვისტოს ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს დადგენილებით გაიცა ს. მ-ელის სასამართლოში წარდგენის მიზნით მისი დაკავების ნებართვა.

2010 წლის 7 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი სოფიკო შოთას ასული მ-ელი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 8 იანვარს ს. მ-ელს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის ბრძანებით საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა 2 თვით, 2010 წლის 7 ივნისამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 1 ივნისის ბრძანებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა ორი თვით, შვიდ თვემდე, 2010 წლის 7 აგვისტომდე, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით დარჩა უცვლელად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ანის 2010 წლის 20 მაისის დადგენილებით დაკმაყოფილდა უკრაინის რესპუბლიკის გენარალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობები ს. მ-ელის ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

2010 წლის 28 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ადვოკატმა ზ. ჯ-შვილმა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის -თ. ბ-ანის 2010 წლის 20 მაისის დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ადვოკატის -ზ. ჯ-შვილის საჩივარი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-ანის 2010 წლის 20 მაისის დადგენილება ს. მ-ელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით უკრაინისათვის გადაცემის შესახებ დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -ს. მ-ელის ადვოკატი ზ. ჯ-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც, დანაშაულები, რომელთა ჩადენისთვისაც ს. მ-ელი ექვემდებარება უკრაინაში ექსტრადიციას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად კვალიფიცირდება 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით.

საჩივრის თანახმად, 2006 წლის 23 ივნისის ეპიზოდთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში აქვს უკრაინის ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონულ სასამართლოს #736/06 (წინასწარი გამოძიების #06236102), რომლის მიხედვითაც ს. მ-ელს ბრალი ედება უკრაინის სსკ-ის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა გასაღების მიზნის გარეშე, ჩადენილი არაერთგზის). ამ შემთხვევაში ნარკოტიკულ საშუალებას წარმოადგენს „აცეტილირებული ოპიუმი“, რომელიც გამომშრალ მასაში შეადგენს 0,38 გრამის ეკვივალენტს. 2006 წლის 29 სექტემბერს ქ. პოლტავის ოქტომბრის რაიონული სასამართლოს დადგენილებით გაიცა ნებართვა ს. მ-ელის დაკავებისა და სასამართლოში წარდგენის შესახებ მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის თაობაზე წარდგინების განსახილველად. უკრაინის იუსტიციის სამინისტროდან მოწოდებულ 2010 წლის 30 აპრილის #985-0-32-10-26/3 ინფორმაციაში, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ ნარკოტიკებზე ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მიუთი-

თებენ, რომ მათთან ყაყაჩოს ნამჯისაგან მიღებული ნარკოტიკული საშუალება არ არის ნუსხაში. საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილებით დამტკიცებულ „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხაში“ კი მითითებული არ არის აცეტილირებული ოპიუმი. ამდენად, იდენტიფიკაციის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. აქვე უკრაინული მხარე მიუთითებს, რომ ბრალდებულ ს. მ-ელის ჩვენების გათვალისწინებით, ნივთიერება უფრო მეტად შეესაბამება „კონცენტრატს, მიღებულს ყაყაჩოს ნამჯისაგან“. უკრაინული მხარე ასევე მიუთითებს „აცეტილირებული ოპიუმის“ მიღების ხერხებზე.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მხარემ არ დააკმაყოფილა ექსტრადიციის მოთხოვნა სწორედ იმ ეპიზოდში, სადაც ს. მ-ელი მიუთითებს, თუ რა ხერხით დაამზადა ყაყაჩოს ნამჯისაგან ნარკოტიკული საშუალება. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ გრამებში მისი წონა საქართველოს კანონმდებლობით არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

რაც შეეხება იმ ეპიზოდს, რომლის თაობაზეც დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, მითითებულია, რომ მან დაუდგენელი პირისაგან შეიძინა უკვე დამზადებული ნივთიერება „აცეტილირებული ოპიუმი“, რომლის მყარი წონაა 0,38 გრამი. ამ შემთხვევაში დაუდგენელია მისი დამზადებისა და მიღების ხერხი. აღნიშნული ნივთიერება შეიძლება მიღებულ იქნეს მრავალი მეთოდით.

საქართველოს მხარე აპელირებს იმ ფაქტზე, რომ უკრაინის გენერალური პროკურატურიდან 2008 წლის 28 აპრილის #14/3-38065-10 წერილით დადასტურებულად არის მიჩნეული, რომ „აცეტილირებული ოპიუმი“ ნამდვილად შეესაბამება „კონცენტრატს, მიღებულს ყაყაჩოს ნამჯისაგან“ – ოპიუმზე გაანგარიშებით, რომლის წონაა 0,18 გრ. სწორედ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მიაჩნია უკრაინულ მხარეს დადასტურებულად ეს ფაქტი. ამ ეპიზოდზეც ქართულმა მხარემ გადაცემაზე უარი განაცხადა.

ქართულ მხარეს უნდა გამოეთხოვა ნივთიერი მტკიცებულება უკრაინიდან და ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გადაეწყვიტა ექსტრადიციის საკითხი. უკრაინული მხარე არ მიუთითებს, რომ საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებად ცნობილი „აცეტილირებული ოპიუმი“ – 0,38 გრამი შეესაბამება „კონცენტრატს, მიღებულს ყაყაჩოს ნამჯისაგან“.

დაკმაყოფილდა ექსტრადიცია იმ ეპიზოდშიც, რომელიც ქართული მხარის კანონმდებლობით შეესაბამება სსკ-ის 273-ე მუხლს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ მუხლთან მიმართებით ორჯერ მიღებულია ამნისტიის აქტი და სასჯელის ზომად ვერ დაინიშნება 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2000 წლის 23 თებერვალს. 1972 წლის ოქმის მიხედვით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით „ნარკოტიკული საშუალება“ ნიშნავს I და II სიებში ჩართულ ნებისმიერ ნივთიერებას – ბუნებრივს თუ სინთეზურს. მითითებულ სიებში არ გვხვდება არც „აცეტილირებული ოპიუმი“ და არც „ყაყაჩოს ნამჯისაგან მიღებული კონცენტრატი“. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია პარლამენტის დადგენილებასთან მიმართებით. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ საქმეში აღწერილი გარემოებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულად როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის ტერიტორიაზე. ადვოკატის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით დასჯად ქმედებად არ მიიჩნევა „აცეტილირებული ოპიუმის“ შეძენა, შენახვა და ა.შ. ასევე დღემდე დაუდგენელია, თუ რა ქიმიური შემცველობა და ფიზიკური სახე გააჩნია ნივთიერებას, რომელსაც უკრაინის მხარე დასჯადად მიიჩნევს და ქართული მხარისათვის უცნობია კონკრეტულად რომელი ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვისათვის უნდა განხორციელდეს ს. მ-ელის ექსტრადიცია უკრაინაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის §1-ის შესაბამისად, ექსტრადიცია შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებიც დასჯადია თავისუფლების აღკვეთით როგორც ექსტრადიციის მომთხოვნ, ისე შუამდგომლობის განმხილველ სახელმწიფოში და აღნიშნული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია სულ მცირე – 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ს. მ-ელის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ჯ-შვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ს. მ-ელი.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ნანა რაფავამ იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო თანამშრომლობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავი. წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ს. მ-ელი არის უკრაინის მოქალაქე. იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ორი ეპიზოდი) – (ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და მე-15 მუხლის მე-3 ნაწილით – 307-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების დაუმთავრებელი მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა უკრაინის სსკ-ის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. უკრაინის შსს პოლტავას ოლქის მთავარი სამართავლოს საგამომიებო განყოფილების გამომიებლის 2006 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით გამოცხადდა ს. მ-ელის ძებნა და 2009 წლის 18 აგვისტოს ქ. პოლტავას კიევის რაიონული სასამართლოს დადგენილებით გაიცა სასამართლოში წარდგენის მიზნით მისი დაკავების ნებართვა.

საკასაციო პალატა ეთანხმება დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ანის 2010 წლის 20 მაისის დადგენილება ს. მ-ელის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 256-ე, 259-ე მუხლების მოთხოვნებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც, საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციის უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე, დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და პრინციპს “ნე ბის ინ იდემ”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება “ექსტრადიციის შესახებ” 1957 წლის ევროპული კონვენციით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ” მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, 1995 წლის 9 იანვრის “საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” ორმხრივი ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ივნისის დადგენილება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ანის 2010 წლის 20 მაისის დადგენილება ს. მ-ელის უკრაინისათვის საექსტრადიციო გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.